პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 173 (20214) — ოთხშაბათი, 27 ივლისი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

გადაწყვეტილებანი, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ცხოვრებაში

შეგასულოთ XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებანი — ნაშრომს თითოეულმა ჩვენგანმა კარგად ვიმუშაოთ ჩვენს ადგილზე, დავეხმაროთ ამხანაგს უკეთ მოიხადოს თავისი ვალი ხალხის, ქვეყნის, პარტიის წინაშე. გარდაქმნის, საზოგადოებრივი განვითარების ახლანდელ ეტაპზე სოციალიზმს ძალზე სჭირდება გამახვილებული სოციალური გულისხმიერება, ადამიანის ხულის ღრმა ზეშთაგონება და გაბედული, არასტანდარტული გადაწყვეტილებანი.

XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის ამ და სხვა უმნიშვნელოვანეს დებულებებზე მიმდინარეობს საუბარი, დაინტერესებული ხარ-თაასი საქართველოს პარტორგანიზაციისაგან ქვეყნის კომუნისტთა ფორუმის დელეგატების შეხვედრებზე რესპუბლიკის შრომითს კოლექტივებში და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

ამასთან კვირაში ინტელიგენციისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო.კომიტეტის წევრებთან და წევრობის კანდიდატებთან, საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ხარვეზიანი კომისიის წევრებთან, შრომითი კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეებთან და წევრებთან, ქალაქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებთან გამართულ შეხვედრებზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

ალინიშნა რა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის უდიდესი მასშტაბი და პოლიტიკური მნიშვნელობა, შეხვედრებზე ხაზგასმით ითქვა, რომ მისი გადაწყვეტილებანი აფართოებს და აღრმავებს გარდაქმნის ფრონტს, ეყარ დემოკრატიულ საფუძველს ქმნის, ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე თვისებრივად ახალი, რეგულაციური პროცესების შეუქცევადობას. განსაკუთრებით საჭიროა მართებულად გავიგოთ და ირმად შევისწავლოთ, სწორი შეფასება მივცეთ პარტკონფერენციისა, გადაწყვეტილებებს, რათა ისე ვიმოქმედოთო, რომ დღესიდაგ ახელმძღვანელობდეთ ცხოვრებაში ამ გადაწყვეტილებებით.

ჩვენი ისტორიის სამოცდაათი წლის მანძილზე დაგროვილი ეკონომიკური და კულტურული პოტენციალი მოითხოვს საზოგადოების თანამედროვე მოდელის რეალიზაციას, რომელიც ყველა თავისი წევრისათვის უზრუნველყოფს ცხოვრების ცივილიზებულ დონეს, მრავალფეროვან შესაძლებლობებს სულიერი და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, აზრის გამოთქმისა და არჩევნის თავისუფლებას.

ყოველივე ეს უნდა განვიხილოთ სოციალისტური დემოკრატიისა და მორალის ფარგლებში. ამასთან არც ერთი წუთით არ უნდა ვივიწყებდეთ მთავარსადამიანის ფაქტორს. აქ ბევრი რამ დამოკიდებული საზოგადოების თითოეულ წევრზე, შრომითს კოლექტივებზე, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებზე, მათს დიდმნიშვნელოვან როლზე ცვლილებებში, რომლებიც სულ უფრო იკრძალ ძალას საბჭოთა საზოგადოებაში.

XIX საკავშირო პარტიული კონფერენციამ ფუნდამენტური ინტერესი გამოიწვია ჩვენს ქვეყანასა და მთელ მსოფლიოში, თავისი კარგასნილობით, პირდაპირობით, შეუზღუდავობითა და პატიოსნებით საკითხთა განხილვისას, ამით, რომ აქ არ ყოფილა კრიტიკისათვის დაბრუნი ზონები, იგი უპირველესად ნეტარის პარტიის უკანასკნელი თოფლეულების ისტორიაში.

კონფერენციასდაი ინტერესი არანაკლებად გამოიწვია იმანაც, რომ მის განსახილველად წამოყენებული იყო მთელი რიგი ახალი საკითხები, რომლებიც სრულიად ახალ მიდგომებს მოითხოვდა.

ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კონფერენციის მომზადებისა და დაწერილებით გაშაშქეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, პრესაში გამოქვეყნდა ყველა ანალიზი, ტელევიზიამ ერთ-ერთ ნაწილ-ში ... ...

„კომუნისტის“ მრგვალი მაგიდა

მინაქის წყალსაცავი — ალტერნატივა?!.

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ის კუთხეა, რომელსაც იმითავითვე ერგო ყანგაუთრებელი მისია ქართველი ერის ისტორიაში. და ეს რეგიონი დღესაც გამორჩეულია თავისი წარსულით — ჭეშმარიტ ისტორიის უტყუვი თუ მეტყველი ძეგლებით, ყოველ ნაბიჯზე ასე უხვად რომ მამობენელთა ამ მოვლენებიმაწყრე მიჯაზე.

ამ კუთხის ბერი თუ ლხინი ნიადაგ საზიარო იყო სრულიად საქართველოსთვის, და დღესაც ასე.

მინაქე... სამცხის ეს ისტორიული სოფელი ერთობ პოპულარული გახდა ამ ბოლო დროს. და ეს დაინტერესება, არც მეტი, არც ნაკლები, წყალსაცავის მშენებლობის იდეამ გამოიწვია. არც „კომუნისტი“ განდგომია საზოგადოებრივ აზრს.

მკითხველთ დღემდე ახსოვთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის მერაბ ბერიძისა და ინსტიტუტ „მიდროპროექტის“ თბილისის განყოფილების დირექტორის ანზორ ჭითანავას წერილები, რომლებიც გვერდგვერდ დიბეჭდეს „კომუნისტის“ შარშანდელი 12 ავგისტოს ნომერში. პირველმა ავტორმა წერილს სათაურშიც იკითხა: „შენდება მინაქის წყალსაცავი?“ და მეორემაც სათაურითვე უპასუხა: „დიახ, უნდა აშენდეს!“

თითქმის მთელი წელი გაბოდა ამ პუბლიკაციიდან, მაგრამ საზოგადოებას კვლავაც აღელვებს კითხვა, შენდება თუ არა წყალსაცავი? რედაქციამ არაერთი გამომძიერება მიიღო ამ საკითხროროტო საკითხთან დაკავშირებით. ნაწილს აქვე გთავაზობთ, მცირედენი შემცირებებით.

ხოლო მრგვალ მაგიდასთან საუბარს, რომელშიც, დასახელებულ ავტორთა გარდა, „საქსახწყალთაროექტის“ დირექტორი გეიდარ ფალავანდიშვილი მონაწილეობს, ჩვენი კორესპონდენტი წარმართავს.

კორესპონდენტი: — დავიწყოთ „ტრადიციულით“ კითხვით, შენდება კი წყალსაცავი, თუ... სულხან-საბას „სოფლის მაშენებელთა“ არ იყოს?...

ბ. ჭითანავა: — მიგიხვდით, რასაც გულისხმობთ... და მაინც, ეს კითხვა უდროოდ მიმაჩნია, მაგრამ არაფერ და არამც — უსაფუძვლოდ უდროოდ იმიტომ, რომ დღესდღეობით (და, ალბათ, უახლოეს მომავალშიც), მშენებლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია!

კორესპონდენტი: — რიგორ? მოგვიტევეთ და, ხომ არ გავიწყდებათ თქვენივე წერილის კატეგორიული სათაური?

ბ. ჭითანავა: — ადრინდელ შეხედულებას არ ვიცვლი. მაგრამ ჯერჯერობით არ არსებობს ამ ობიექტის მშენებლობის აუცილებლობის დამასაბუთებელი, დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაცია. უფრო მეტიც, მისი შედგენაც კი არ მიმდინარეობს. ამ ათი წლის წინათ დაწყებული პროექტირების პირველი ეტაპი (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება) 1982 წლის მიწურულს შეწყდა, სათანადო სახსრების უქონლობის გამო.

კორესპონდენტი: — თანხა რომ გამონახულიყო?...

ბ. ჭითანავა: — გაგრძელდებოდა. მაგრამ უნდა დაგვესახუთებინა, ვისთვის და რისთვის ვაგებთ წყალსაცავს.

ვისთვის — იმიტომ, რომ ობიექტი მრავალმხრივი დანიშნულებისაა და თითქმის ყველა უწყებამ უნდა განსაზღვროს თავისი მესაძლებლობანი მშენებლობის დაფინანსებისას.

კორესპონდენტი: — წილობრივ მონაწილეობას თუ გულისხმობთ... მკითხველთა ერთ ნაწილსაც აღელვებს დაფინანსების ეს ფორმა. აი, რას გეკითხებიან (პირადად) საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საფინანსო სამმართველოს უფროსი ვაჟა ხუციშვილი და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის სამმართველოს უფროსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ ფარისპანაშვილი: „...გაკვირვებას იწვევს წყალსაცავის მშენებლობის ამგვარი მეთოდი... განა შესაძლებელია, სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა გარეშე ამგვარი მოცულობის ობიექტის მშენებლობა?..

ბ. ჭითანავა: — მაპატიონ წყლიერი მონაწილეობა ხომ, ძირთადად, ცენტრალიზებული კაპიტალდებოდა. განა, ამას არ მიეინიშვეთ სრულყოფად სამეურნეო. მექანიზმისა! საკეთე თუ ბესტრა — წილიც უნდა გაიღო. მითუმეტეს, როცა ერთი დამკვეთი არ ჩანს!...

კორესპონდენტი: — ოპონენტები ამბობენ გვაბრალებენ, რომ ობიექტის მშენებლობისა და შედეგ წულით სარგებლობისთვის საკვაშრო და ადგილობრივ ბიუჯეტებში დაზუსტებულ წყლის გადასახადს ზვეთ საჭიროთა თანხების ნაწილობრივი წესით დაფინანსებისთვის გამოყენება შეუძლებელი იქნებო.

ბ. ჭითანავა: — მაპატიონ ოპონენტებმა, მაგრამ მათ, ალბათ, არ უწყიან, რომ სწორედ წილობრივი დაფინანსებით აშენდა ენგელის ჰიდროკვანძი. აქ ხომ აგრომრეწვამაც დადო ფული, ენერგეტიკამაც და კომუნალურმა მეურნეობამაც. რუსთავშიც ხომ ასე ალო კაბალი: — ფული გაიღე სოფლის მეურნეობამ, ქიმიამ, მეტალურგიამ და კომუნალურმა მეურნეობამ. განა ეს წილობრივი მონაწილეობა არ არის?!

კორესპონდენტი: — იყო. და ეს უკვე წარსულია. მაინც რა მიიღეს ნაზღაურად მოწილადებმა?

ბ. ჭითანავა: — წყალი, ბატონო! მათ ამურად გაიყვეს წამში რადაექვსი კუბური მეტრი წყალი რუსთავში და 15 კუბური მეტრიც — ენგელში.

კორესპონდენტი: — ვთქვათ დღ, მინაქეც ამ წესით დაფინანსდა, რა მოგებას მოგვცემს იგი?

ბ. ჭითანავა: — მოგებას მიიღებს ყველა დამფინანსებელი ორგანიზაცია და მისი ნატურალური გამოხატულებაც მოხმარებული წყლის ოდენობა იქნება. ხოლო, რაც შეეხება მის ენერგეტიკულ დანიშნულებას, იგი ნახევარ მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას! გამომიშავებს, რაც დაახლოებით 180 ათას ტონა საწვავს ზერის წელიწადში. ესე იგი, მოგვცემს საწვავის ეკონომიას და, ამასთან, სხვა ელსადგურთა მუშაობასაც დაარეგულირებს.

მ. ბერიძე: — მაპატიეთ, ბატონო ანზორ და, ამასთან დაკავშირებით მეც მაქვს ერთი შეკითხვა: — რესპუბლიკის ელექტროენერგიის ეტი ნილი ხომ თბილელექტროსადგურებზე მოდის. მაშ, რაში გვერდება ამხელა წყალსაცავი?

ბ. ჭითანავა: — გვეპირდება. და აი, რატომ: ამ წყალსაცავთანაა დაკავშირებული წყალმოთხოვნის დაკმაყოფილება და თვით თბილისს თბილელექტროსადგურის მუშაობის სტაბილურობაც, სახელდობრ, აღნიშნული ობიექტი არ არის გარანტირებული წყალმომარაგებით და ამდენად, არც ავარიაა გამორიცხული წყალნაკლულობისას.

მ. ბერიძე: — კი მაგრამ, წყალსაცავის მშენებლობას დღესვე რომ შევუდგეთ, იგი ხომ დაახლოებით ოცი წლის შემდეგ მიაღწევს წყალს თბილისის თბილადგურს, მანამდე?

ბ. ჭითანავა: — ეს ობიექტი რომ აშენდა, ჭარბად გვქონდა მტკვრის წყალი. მას მერე ჩვენში ერთიორად გაიზარდა ეკონომიკური პოტენციალი. და შესაბამისად — წყალმოთხოვნაც. დღეს ეს სადგური 1. 2-მილიონანი სიმძლავრით მუშაობს და, თანაც, მოძველებული აგრეგატებით. უკვე დაწყებულია სადგურის მოდერნიზაცია-გაფართოება. მონტაჟდება ახალი ბლოკები. სანამ ეს სამუშაოები დამთავრდება, წყალმოთხოვნის შემცირებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

კორესპონდენტი: — რამდენადაც ვიცით, დამპროექტებლებს წყალსაცავის მოცულობაც გაფიქრებთ...

ბ. ჭითანავა: — ასეა. მინაქის მიდამოებში ექვსას მილიონიანი დეფიციტის ტოლფასი სასარგებლო მოცულობის წყალსაცავი ნაწილობრივ სოფელ რუსთავსაც დატბორავს და ასპინძის შემოგარენსაც უწევს. წყლით დაფარება დიდძალი სახნავ-სათესი და მოსახლეობის ნაწილიც ასაყრელ გვეყოლება. ესე იგი, ეს ვარიანტი მიუღებელია: — რა გამოდის? უნდა მინიმუმამდე დავიყვანოთ ჯაბლის ნიშნული, რათა, რაც შეიძლება, მეტი ტერიტორია გადავარჩინოთ დატბორვას.

მ. ბერიძე: — ეს არჩევანი, როგორც თქვენ ბრძანეთ, ოფლების შენარჩუნების ხუთვალში განაპირობა, მაგრამ ახალი პრობლემების წინაშეც ხომ დგებავენ?! კერძოდ შეაზღუდება ჯაბლის სიმაღლე (მინაძეს და სოფელ რუსთავს შორის სხვათა- ასიოდი მეტრია ზღვის დონიდან); ძირითადად იგივე რჩება მეზეურთა საშიშროება. და, თუ ამას მდინარისგან ჩატანილ შლამ-ღორღსაც დაგუმატებთ, იოლი მისახვედრია, რაოდენ შემცირდება წყალსაცავის მოცულობა. ამ შემთხვევაში კი დასაკვნა ერთია: წყალსაცავი ვერ გაამართლებს თავის მიზანს, და თქვენ მიერ დასახულებული ელსადგურებიც დაურეგულირებელი დაგჩრჩება. და კიდევ, წყალსაცავის ამოვსების საშიშროებაც ხომ გაიზრდება?!

ბ. ჭითანავა: — გეთანხმებით, ოღონდ... ნაწილობრივ. მცირე მოცულობის წყალსაცავი, რა თქმა უნდა, ვერ აუვა ამ მოთხოვნებს. წყლის დეფიციტი რომ ავინაზღაუროთ, მტკვარსა და მის შენაკადებზე თანდათან უნდა აკეთოთ მცირე წყალსაცავები.

ბ. ბერიძე: — გვაძლევთ კი ამის გარანტიას, რომ მინაქეც ისეთ — სავსე დღეში არ აღმოჩნდება ერთ დროს, როგორშიც ზაპეხი, რიონპები, გუმათბეხი და სხვებია?

ბ. ჭითანავა: — დასახელებული ობიექტები დღეიდან რეგულირების მცირე წყალსაცავებია. მათ სხვა დანიშნულება არც ჰქონდათ. ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი ამოვსებადნენ.

კორესპონდენტი: — საზოგადოებისთვის ძირითადად გასაგებია მინაძის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა, კერძოდ, წყალდიდობასთან გამკლავება, მტკვრის სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, წყალმომარაგება, მორწყვა, ენერგეტიკა და სხვა. მაგრამ იმავე საზოგადოებას წყალსაცავის გარშემო არსებულ ისტორიულ ძეგლთა ბედიც აღელვებს. ერთნი ამტკიცებენ, თუ მიკროალმაცი შეიცვალა, ამ ძეგლებს ხვნა და ლიქნენ მოიდებიო. და მაგალითად შორის წყალსაცავს ასახელებენ, რომელშაც, მართლაცდა, დიდი ზიანი მიაყენებს ეკლესიებს, მაშინ ეარი უნდა ვთქვათ მშენებლობაზე!

კორესპონდენტი: — თქვენ სულ ორპოფობთ—მოსაფიქრებელია, გასათვალისწინებელია, შეახსენებთ... ხშირად ეს გაურკვევლობა აბნევს საზოგადოებას.

ბ. ჭითანავა: ამ კითხვებს პასუხს გასცემს მხოლოდ პროექტი, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, სამი-ოთხი მილიონი მანეთი მაინც დაჯდება. ეს თანხა კი, ოგორც მოგახსენეთ, ჯერჯერობით არ ჩანს...

მ. ბერიძე: — დაპროექტებას რომ ამდენ ჯაფასა და ფულს შეეალეთ, ხომ არ დაგვენანება მის განხორციელებაზე ხელის ალება?

ბ. ჭითანავა: — დაგვენანება, ოგორ არ. ეს ბევრ ადგილებში ასეა. ამ მიდამოებში ხომ კონცენტრირებულია თბილის-რუსთავის ძირითადი სამრეწველო კომპლექსი — თბილელექტროსადგური, სარწყავი მიწათმოქმედება და ასე შემდეგ. აქ წყლის არსებული სანაგარაში წლიური დეფიციტი 400-600- მილიონ კუბურ მეტრამდე მერყეობს. რაგინდ პარადოქსულადაც ეჯერდეს, რეალური დეფიციტი გაციცებით ნაკლები და მდგომარეობას უმჯობესებს წყლის არარაციონალური გამოყენება, ანუ დანაკარგები, რომელიც დაახლოებით 30-35 პროცენტს აღწევს და კვლავ მდინარეს უბრუნდება ხელაწა გამოსაყენებლად. აკი, გამოიყენება კიდეც. ამასთან, ჩვენ მთელი წლის განმავლობაში ვგრძნობ, რომ ყველგან (ძირითადად ივლის-აგვისტოში) გვაკლია წყალი, და მით უმეტეს, პერსპექტიული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

რაც შეეხება შეხსენებას, რომ საქართველო ისედაც წყალუხვია, სრული ჰიშმარიტებაა. მაგრამ... შესაძლოა, ამგვარი კითხვებიც გაგიჩნდეთ პარალელურად: კი მაგრამ, რაში გვეჭიროდა ამდენი წყალსაცავი, იგულისხმება თუ არა ტრანსპეტიული გაანგარიშებაში წყლის მეორადი გამოყენების სისტემა? ითვალისწინები თუ არა თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვას და ასე შემდეგ.

დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ აღნიშნული მოთხოვნილებანი აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. დღეს სარწყავი დანიშნულებით ყოველ ჰექტარზე იხარჯება აზერბაიჯანში — 8000, სომხეთში — 6500, ხოლო საქართველოში — 4.200 კუბური მეტრი წყალი. აქედანაც ჩანს, რომ ჩვენში ყველაზე ნაკლებია წყალაღება, არადა, ნორმატიული მოთხოვნილება საერთო წყალმომარაგებასა და მრეწველობაზე, შედარებით თანაბარია სამივე რესპუბლიკაში.

კორესპონდენტი: — რა კავშირშია ეს მაჩვენებლები მინაძის წყალსაცავთან?

გ. ფალავანდიშვილი: — არის, და არსებითშიც. ამჟამად მტკვრის აუზში (საქართველოს ტერიტორიაზე) მთლიანად დარეგულირებულია 1,3 მილიარდი კუბური მეტრი წყალი, აზერბაიჯანში — 12, ხოლო სომხეთში — 1,5.

„თბილეიდროპროექტმა“ თბილისის თბოელექტროსადგურის სიმძლავრეების შემდგომ გაზრდასთან დაკავშირებით, და სხვა მომხმარებლების — კომუნალური მეურნეობის, სარწყავი მიწათმოქმედებისა და მრეწველობის პერსპექტიული წყალმოთხოვნილების გათვალისწინებით, ჯერ კიდევ 1987 წელს წამოაყენა წინადადება მტკვრის რეგულირების თაობაზე. და აგვილიც დასახელი — სოფელ მინიასეთან უნდა აიგოს დიდი ტევადობის წყალსაცავი.

მ. ბერიძე: — რაღა, მაინდამაინც მინაძეთან?

გ. ფალავანდიშვილი: — შეგთანხმდეთ ერთ რამეში: წმინდა რეგულირების თვალსაზრისით, ეს ადგილი ყველაზე ხელსაყრელია მტკვრის ხეობაში წყალაცავის აშენებად. მაგრამ ეს ერთადერთი ვერ შეძლებს მტკვრის შენაკადებზე არსებული სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფას. ეს მიზანი ამ მთელი არსებული სარწყავი ფართობის მესამედია და დაახლოებით 100 ათას ჰექტარს აღწევს.

კორესპონდენტი: — თუ ამ სიკეთისაც მოკლებულია, რა გვრჩას, და რისთვის უნდა ვხარჯოთ ხალხური?

გ. ფალავანდიშვილი: — კი ბატონო, მაგრამ, რა ვუყოთ თბილისა-რუსთავის „უბანს“? მხოლოდ მას ძალუძს აქ წარმოქმნილი დეფიციტის დაფარვა და სარწყავი მიწათმოქმედების. პერსპექტივის დაკმაყოფილება — ბორეოდიდან ვიდრე გარდაბნამდე. ასევე ბორეოდიდან ხრამის შესართავამდე გაათეჭრიზესებს იგი მტკვრის სანიტარიულ მდგომარეობას და ნაწილობრივ წყალდიდობის საშიროებასაც მოხსნის. განა ცოტაა?!...

მ. ბერიძე: — ყველაფერი გაგაგებია, მაგრამ... ხშირად უსაფუძვლოდ ვაბრალებთ ხოლმე წყალდიდობასა თუ სხვა სტიქიას ჩვენსავე შეცდომებს. მტკვარს კალაპოტი წავართვით და სახლები ჩავდგით, თითქოდაც, განგებ ვიმეტებთ მილიონებს მომავალი წყალდიდობებისთვის. დავარღნილ წყლის კალაპოტში ვაწყობთ თეზსაშენებს, ფერმებსა და სხვა საგურნეო თუ საწარმოო დანიშნულების ნაგებობებს. ადიდდება გაზაფხულზე მტკვარი და... წყალდიდობას დავაბრალებთ ყველაფერს...

გ. ფალავანდიშვილი: — საბუნებრივად, ასეც ხდება. რაც შეეხება საზოგადო აზრს, ბევრმა რიდი იცის, რომ მინაქისთან მტკვრის რეგულირების სრულყოფილ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ისეთი საკითხები, როგორიცაა მიკროკლიმატის მოსალოდნელი შეცვლა და მისი გავლენა ისტორიულ ძეგლებზე, მეწყრული უბნების პრობლემა, სავარაუდოს დატბორვა, არქეოლოგიური სამუშაოები და ბევრიც სხვა, ის მნიშვნელოვანი დაბრკოლებანია, ღრმა შესწავლას, სათანადო მეცნიერულ-ტექნიკურ დასაბუთებასა და შემდგომში საზოგადოებრივ აზრთან შეჯერებას რომ მოითხოვს.

ჩვენი, ანუ „საქსახწყალპროექტის“ აზრით, საჭიროა, ჯერ მტკვრის შენაკადებს: ქვაბლიანის, ქსნის, დიდი ლიახვის დარეგულირება მცირე წყალსატევებით, და რაც შეიძლება, მოახლოება თბილის-რუსთავის კვანძთან. ასევე აუცილებლად მიგვანია წყლასატევის აგება ჯეკეურების ტაფობში. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაისვას მთავარი მდინარის — მტკვრის დარეგულირების საკითხი.

ბ. ჭითანავა: — ნება მიბოძეთ, მაგრამ ვერც ამაში დაგეთანხმებით, ბატონო ჯეიდარ. როცა თავადვე ვაღიარებთ, დღეისათვის მტკვრის რეგულირების სრულყოფილ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება არ გაგვაჩნიაო, ეს მარტო მინაძის გასწორს კი არ ეხება, არამედ მთელი მდინარის აუზს ეულსხმობს. მაშინ შეუსაბამობას ხომ არ გამოიწვევს, შესაკადების პირველადი დარეგულირების საკითხი რომ წარმოვაჩინოთ? ეს ხომ ტექნიკურ-ეკონომიკურ და უკოლოგიურ შეფასებას გულისხმობს.

გ. ფალავანდიშვილი: — რეგულირების აუცილებლობის დასაბუთებისას, საერთო წყალმოთხოვნილებათა მოცულობის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ თანამედროვე ნორმები: სარწყავ მიწათმოქმედებაში წყალმოხმარება უნდა შემცირდეს 16-18 პროცენტით. კეთილი წყალმოთხოვნა მრეწველობაში — 30-35, თბოენერგეტიკაში — 80 პროცენტით. კოსტრუქტულად თბილისის თბოელექტროსადგურში უნდა მოხდეს მიმდინარე ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის ფორმირება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს კონცენტრირებულ წყალაღებებს ქალაქ რუსთავის კვანძში. ამასთან, აუცილებელია გამწმენდ ნაგებობათა სისტემის მოწყობა, ვინაიდან დარეგულირებული წყლის ბინაჟერ ჩანადენთა განსაზღვრელად გამოყენება დიდი ფუფუნება იქნება.

კორესპონდენტი: — რას გულისხმობთ? იქნებ, ეროო კონკრეტულად განვავმარტოთ საკმელი.

ფალავანდიშვილი: — მტკვარი წყლის ერთ-ერთი არტერიაა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისთვის. მის აუზში განლაგებულია მთელი სომხეთი, აღმოსავლეთ საქართველო და აზერბაიჯანის ტერიტორიის 70 პროცენტი.

რედაქციისაგან: მკითხველი უთუოდ დაგვთანხმება, რომ ვერც „კომუნისტის“ მრგვალ მაგიდასთან ხკა-ბაასმა გასცა კონკრეტული პასუხი ბევრ კითხვას, თუმცა, ერთი რამ ცხადია — ჯერ-ჯერობით წყალსაცავის მშენებლობაზე, როგორც ვგაოქვა, ლაპარაკიც კი ნაადრეცა. უახლოეს მომავალში თვით პროექტირების დაწყების ბედიც კი გაურკვეველია.

მრგვალი მაგიდის მიზანიც სწორედ საზოგადოების სრული და ობიექტური ინფორმირება გახლდათ „მშენებარე“ წყალსაცავის ავ-კარგიანობაზე.

როგორც ჩანს, სპეციალისტები მართლები არიან მომავალის წინაშე — მტკვარი და მისი შენაკადები ენერგეტიკულადაც, ენერგეტიკულ-ეკონომიურ ... მაგრამ... ასევე მართლები არიან მათი ოპონენტებიც თავიანთი ეკოლოგიური, დემოგრაფიული თუ სხვა სერიოზული არგუმენტებით.

მრგვალ მაგიდასთან ისიც თქვა, იქნებ, რუსთაველის საზოგადოებამ იდოსო თავს მთელი ამ საქმის კონტროლი. მაგრამ ამ მოსაზრებასაც იქვე გამოუნდნენ ოპონენტები: — რატომ მხოლოდ რუსთაველის საზოგადოებამ, თუ საკარონიდა, ყველა დაინტერესებულმა უწყებამ ხომ თავის თავისი სიტყვა და საქმის არც ადგილობრივ მოსახლეობასთან თობრინი აწყენდაო!

რედაქცია მზადაა კვლავაც გულისყურით მოკიდოს საზოგადოებრივ აზრს, ყოველ კონკრეტულ გამოხმაურებასა თუ წინადადებას მინაძის წყალსაცავთან დაკავშირებით.

მოდით, ვიყოთ ბრძენული შეგონების გულისხმიერი გამგონენი — ასკერ გავზომოთ და მერეღა გავსვრთო!... მითუმეტეს, როცა მრგვალი მაგიდის მონაწილეცაც ამ აზრს ადგანან.

საუბარს წარმართავდა ლ. გაბასრია.



სურათებზე: საფარა, ვარძია, ხერთვისი; თამარ მეფისა და მამამისის — გიორგი მესამის ფრესკა ვარძიაში.

თ. ქიკავას და საქინფორმის ფოტო.

ნუ ავჩქარდებით!

ჰიდროელექტროსადგურებზე მცხოვრები საუკუნეთა მანძილზე ებრძოდნენ წყალდიდობებს. ამ სტიქიურ უბედურებას დღესაც აურაცხელი ზარალი მოაქვს მოსახლეობისათვის და მსხვერპლიც სჩვევია.

ამ ბოლო წლებში ერთობ იმატა წყალდიდობებმა საქართველოში. ქართველი კაცი ოდითგანვე განიცდიდა მძიმე შედეგებს. გასულ საუკუნეში დიდი წყალდიდობები ყოფილა რიონზე (1842, 1895 წ.წ.), მტკვარზე (1839, 1864, 1893, 1895 წ. წ.) და მათ შენაკადებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1839 წლის წყალდიდობა თბილისში, როცა მტკვრის დონემ 9-10 მეტრით აიწია და აუანაზღაურებელი ზარალი მიაყენა რიყეზე მცხოვრებ მოსახლეობასა და ქალაქის მეურნეობას... ჩვენს საუკუნეში მომხდარი მრავალი წყალდიდობიდან უნდა აღინიშნოს 1911, 1922, 1983 და 1987 წლების სტიქიური მოვლენები კოლხეთში, 1978 წლისა — აჭარაში, 1968 წლის 19 აპრილისა — თბილისში, როცა წყლის ხარჯმა წამში 2450 კუბურ მეტრს მიაღწია და 1700 ოჯახი დატოვა უსახლკაროდ, კაენგრონი საავტომობილო და რკინიგზები, ხიდები, დატბორა საავარგულები. ზარალმა რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთს გადააჭარბა.

წყალდიდობასთან ბრძოლა წარმოებს ისეთი მარეგულირებელი საშუალებებით, როგორიცაა აუზების გატყიანება, გრძივი ჭრილიები და საყრდენი კედლები, ბეტონის ბლოკები, ნაკადმიმართველი ღუზები, კალაპოტის გაწმენდა-გაღრმავება და სხვა, მაგრამ ყველაზე უფრო რადიკალური ღონისძიებაა მდინარეი ჩამონადენის დარეგულირება წყალსაცავების მეშვეობით.

დღეისათვის მსოფლიოში 30 ათასზე მეტი წყალსაცავია, რომელთა საერთო მოცულობა 6 ათასი კუბური კილომეტრია, ხოლო ზედაპირის ფართი 400 ათასი კვადრატული კილომეტრი. ამერიკის შეერთებულ შტატებში 4130 წყალსაცავია, საბჭოთა კავშირში — 2550, იაპონიაში — 1940, ინდოეთში — 1100, ჩინეთში — 500, ესპანეთში — 535, კანადაში — 500 და ა. შ. ამ წყალსაცავთა უმრავლესობა უკანასკნელში 30 წლის განმავლობაში აშენდა.

საქართველოში ამჟამად 15-მდე საშუალო და დიდი წყალსაცავია აშენებული. ისინი გარკვეულ როლს ასრულებენ მდინარეთა ჩამონადენის დარეგულირებასა, და კერძოდ, წყალდიდობასთან ბრძოლაში. ამჟამად მიმდინარეობს შენებლობა ხეთონისა და დალის მთის წყალსაცავებისა.

საქართველო მცირემიწიანი მხარეა და მის ყოველ გოჯს დიდი გაფრთხილება სჭირდება. ამიტომ ახალი წყალსაცავებისათვის შესაფერისი ადგილის შერჩევას უდიდესი გულისყურითა და საკუთხის ყოველმხრივ შესწავლით უნდა შევუდგეთ. აგრეთვე მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს სხვა ჰიდროტექნიკურ ღონისძიებებსაც. ყოველივე ეს უნდა გაკეთდეს წყლის რესურსების რაციონალური და ეკონომიური გამოყენების ერთიანი გენერალური გეგმის საფუძველზე, რაც უახლოეს მომავალში უნდა დამუშავდეს.

რაც შეეხება მინაძის წყალსაცავს, ეს მეტად რთული გადაწყვეტი საკითხია. ერთი მხრივ, ცხადია, რომ ხშირი წყალდიდობებით გამოწვეული ზარალი (გასულაურებით 1968 წლისა) არ მოხდებოდა, მტკვრის ზემო დინებაში საკმაო მოცულობის წყალსაცავი რომ ყოფილიყო. იგი საშუალებას მოგვცემდა შეგვიცარებინა წყლის მაქსიმალური ხარჯი.

30-იან წლებში ინჟინერ კოპაძის მიერ შემუშავდა სქემა, რომელიც ითვალისწინებდა სოფელ წინისთან 100 მეტრი სიმაღლის კაშხლის აგებას და 3 მილიარდი კუბური მეტრი ტევადობის წყალსაცავის შექმნას. ეს წინადადება უარყოფილ იქნა, როგორც სრულიად მიუღებელი, ვინაიდან იტბორებოდა ქალაქ ახალციხის ნაწილი, რამდენიმე სოფელი, რკინიგზა, საავტომობილო გზები, დიდძალი სახნავ-სათესი, ბაღები და ა. შ.

მომდევნო პერიოდში შემუშავდა ახალი სქემა, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია მინაძე-ასპინძის უბანზე წყალსაცავის შექმნა. ახლა საკითხია, როგორც ეკოლოგიური, ისე ეკონომიკური მონაცემების ღრმა ანალიზის საფუძველზე გაირკვეს, მიზანშეწონილია თუ არა ამ ობიექტის მშენებლობა? ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ მრავალი საკითხია საფუძვლიანად შესასწავლი, რათა პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრას.

გ. სვანიძე,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

სეისმურობაც გავითვალისწინოთ

„კომუნისტის“ შარშანდელ პუბლიკაციებში დასმულმა ზოგიერთმა საკითხმა გადამაწყვეტინა საკუთარი აზრიც გამომეთქვა სამცხე-ჯავახეთის ეკოლოგიურ აგებულებასა და სეისმურობის თაობაზე. ჭკვიანელ ამასაც შევახსენებ, რომ მინაძე-ასპინძის მონაკვეთზე წყალსაცავის მშენებლობის იდეას კარგა ხნის ისტორია აქვს.

მინაძე-ასპინძის უბანი რთული ეკოლოგიური აგებულებისაა. ამ რეგიონის ქანების სინეკინონ-გეოლოგიური ბუნებებისა და მეწყრული მოვლენების ღრმა ანალიზის საფუძველზე გაირკვეს, მიზანშეწონილია თუ არა ამ ობიექტის მშენებლობა? ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ მრავალი საკითხია საფუძვლიანად შესასწავლი, რათა პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრას.

ბევრ ადგილებში ბალნეოლოგიური ... ეკოლოგიური ... ბალნეოლოგიური ... ბალნეოლოგიური ... ბალნე

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

პეიპარეში ხილის ბაღებში

ბორის რაიონის ფხვენისის ბაღეულობის საბჭოთა მეურნეობის შრომელებისათვის თბილისის ვერტმფრენების ესკადრილიის მეკავშირეებმა პარტნიორი გახდა. გაზაფხულზე ავიაოტრგბმა ა. კოროვალოვმა და გ. ბერძიჭაშვილმა ... ნელეულ მეურნეობის 692 ჰექტარზე უკვე ოთხჯერ ჩაატარეს ... ინსეკტიციდური წამლობა. ხილ... ბაღებში მეხუთე კომბინირებული წამლობა უკვე დაიწყო, ეს ... ... 470 ჰექტარზეა შესრულებული.

ხილის ბაღების წამლობაში ... ... ეხმარებიან ბერშუ... ... ...

ᲜᲣᲛᲪ ᲛᲝᲒᲕᲣᲚᲝᲓᲔᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲨᲐᲜᲨᲘᲐᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ. ᲐᲛ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲡ ᲘᲓᲦᲔᲜᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲡ — „ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲘᲡ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲗᲐ.

„ᲩᲕᲔᲜ ᲣᲙᲐᲜ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡᲐᲨᲘ ᲕᲐᲠ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲨᲔᲕᲬᲘᲠᲔᲓᲘᲗ. ᲛᲘᲮᲐᲠᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲯᲘᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲠᲩᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲗᲕᲘᲗᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ...

ᲡᲐᲚᲐᲠᲘ, ᲔᲒᲔᲗ ᲠᲝᲒᲠᲪᲘ ᲧᲣᲐᲚᲔᲡᲘ ᲨᲔᲠᲩᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲙᲕᲔᲧᲜᲐᲖᲔ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲔᲠᲘᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲗᲝᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲩᲘᲙᲝᲕᲘᲡ ᲜᲘᲜᲝᲩᲙᲐᲖᲔ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲩᲘᲙᲝᲕᲘᲡ ᲜᲘᲜᲝᲩᲙᲐᲖᲔ